



როქი მარჯვნივ: "ხალხის ძალა", როგორც ქართული პოლიტიკის ახალი ანტიდასავლური საყრდენი

კორნელი კაკაჩია¹, ნინო სამხარაძე²

მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, საქართველო მორიგი გამოწვევების წინაშე დგას. ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება წინააღმდეგობრივი შიდა და საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და დასავლელი პარტნიორების მიმართ კრიტიკული გზავნილებით ევროპულ ორიენტირებს ეჭვქვეშ აყენებს. ამ ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს მმართველ ძალასთან აფილირებული „ხალხის ძალად“ წოდებული ახალი მოთამაშე, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტდა როგორც მმართველი პარტიის ყოფილი წევრებისგან, ასევე, იმ ექსპერტებისგან და ჟურნალისტებისგან, რომლებიც პარტიის მიმართ განსაკუთრებული ლოიალობით გამოირჩევიან. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოძრაობა გამოირჩევა გამოკვეთილად პოპულისტური და კონსპირაციული გზავნილებით, რომლებიც ანტიდასავლურ პათოსს ატარებენ და, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ აყენებენ ქვეყნის მიერ არჩეულ პროდასავლურ საგარეოპოლიტიკურ კურსს.

იმის გათვალისწინებით, რომ „ხალხის ძალა“ მმართველი პარტიის გამორჩეულ კეთილგანწყობას იმსახურებს, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთი პოლიტიკური წარმონაქმნის ჩამოყალიბება არის ქართული ოცნების ერთგვარი წინასაარჩევნო სტრატეგიის

¹ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

² პოლიტიკის ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

ნაწილი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალი ტიპის სატელიტური პარტიის შექმნას შემდგომში მასთან მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით. ქართულ ოცნებაში, სავარაუდოდ, აანალიზებენ, რომ 2024 წლისთვის მეოთხედ ძალაუფლების შენარჩუნება გაძნელებად. ამ რისკების პირისპირ მდგარი პარტიისთვის კი მნიშვნელოვანია ისეთი სატელიტური მოთამაშის არსებობა, რომელიც დაკარგული მხარდაჭერის დასაბალანსებლად მოიზიდავს ამომრჩევლების კონსერვატიულ ნაწილს ანტიდასავლური იდეების გაქდერების გზით. ამავდროულად, ევროინტეგრაციული მარცხით გამოწვეულ იმედგაცრუებას ამომრჩევლის ნაწილში გადაფარავს ისრების დასავლეთისკენ მიმართვით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს, რა მიზნები აქვს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილ ახალ მოძრაობას შიდაპოლიტიკურ პროცესებში, რა ხედვა აქვს მას საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ და რა უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამგვარი პოლიტიკური ძალის არსებობას დემოკრატიულ პროცესზე.

სატელიტური პოლიტიკური მოთამაშეების ფენომენი და საქართველო

ჰიბრიდულ რეჟიმებში, როგორც საქართველოა, მრავალპარტიული დემოკრატიის ფორმირება რთული პროცესია. პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ კულტურებში, სადაც ძალაუფლებაში მყოფი პარტიის მუდმივი დომინანცია გავრცელებული პრაქტიკაა, არცთუ იშვიათად გამოიყენება „მართული დემოკრატიის“ (Managed Democracy) სტრატეგია: მმართველი ძალები აქტიურად თანამშრომლობენ მათ მიერ ხელდასხმულ სატელიტურ პარტიებთან, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, თავადვე ქმნიან, ან რომელთა საქმიანობასაც აქტიურად უჭერენ მხარს (Oversloot & Verheul 2006). ასეთ დროს, იქმნება მრავალპარტიულობის ილუზია, ერთგვარი ჯანსაღი დემოკრატიული პროცესის ბუტაფორია, რომლის ორკესტრირებასაც წამყვანი პარტია ეწევა და ამით საკუთარ ავტორიტარულ მმართველობას ამყარებს (Bader 2011; ზურაბიშვილი 2022). შედეგად კი ვიღებთ გარეგნულად პლურალისტურ პარტიულ სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ვერტიკალურ ჰეგემონიაზე და არა ჰორიზონტალურ, თანასწორ პარტიულ თანამშრომლობაზე. ამგვარი სტრატეგია ჩვეულია ისეთი არადემოკრატიული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის, როგორც არის რუსეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი და ა.შ. სადაც მმართველ ძალას ფორმალურად ჰყავს კონკურენტი პარტიები, რომლებიც სინამდვილეში წამყვანი პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგს ემსახურებიან და რეალურ ალტერნატიულ დებატს ვერ ქმნიან (Styckow 2016; Gel'Man 2008).

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების მსგავსად, უახლოეს წარსულში, საქართველოსაც აქვს სატელიტური პარტიების შექმნის გამოცდილება. ერთ-ერთ ასეთ პარტიად მიჩნეულია საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (ქდმ), რომელიც 2008 წლის თებერვალში, საპარლამენტო არჩევნების წელს შეიქმნა. დაახლოებით მაშინ, როცა მაშინდელ მმართველ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ რეაბილიტაცია სჭირდებოდა. ქდმ მმართველ რეჟიმს ფორმალურ ოპონირებას უწევდა, თუმცა, პარტიის ფინანსური მხარდაჭერა იმდენად მკვეთრად დაუკავშირდა მმართველი პარტიის მიმართ ლოიალურ ბიზნესებს, რომ არსებობს ძლიერი ეჭვი, რომ ის ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ მოქმედებდა: იყო ერთგვარი საპარლამენტო ოპოზიციის როლის დეკორატიული შემსრულებელი, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის მხარდაჭერას ისე მოიზიდავდა, რომ ამით თან რეალურ ოპოზიციას დაასუსტებდა, და თან მმართველ პარტიას ელექტორალურ საფრთხეს არ შეუქმნიდა (ზურაბიშვილი 2022). სიმპტომატურია, რომ მას შემდეგ, რაც ენმ-მ ოპოზიციაში გადაინაცვლა, ქდმ-ც აქტიური პოლიტიკური საქმიანობიდან გაუჩინარდა.

დაახლოებით ამგვარი სცენარის შექმნას წააგავს საქართველოში 2022 წლის ივნისის ბოლოს „ხალხის ძალად“ წოდებული ახალი პოლიტიკური სუბიექტის გამოჩენა, რომელიც სატელიტური პოლიტიკური ძალის არაერთ ნიშან-თვისებას ავლენს. მნიშვნელოვანია, რომ „ხალხის ძალამ“ ჩამოყალიბება და გაფართოება მას შემდეგ დაიწყო, რაც 26 ივნისს საქართველომ ევროკავშირისგან კანდიდატის სტატუსის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილება და შესასრულებელი პირობების ჩამონათვალი მიიღო. 28 ივნისიდან მმართველ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში მყოფი წევრები რამდენიმე ტალღად გამოეყვნენ. დროთა განმავლობაში, ამ ჯგუფმა ახალი წევრები და რესურსები მოიზიდა და ახალ პოლიტიკურ მოძრაობად მოეწვინა საზოგადოებას. მოძრაობის ოფიციალური დამფუძნებლების განმარტებით, მათი მიზანია, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გარკვეული ინფორმაციის საზოგადოებისთვის უფრო ღიად მიწოდება, ვიდრე ამას ქართული ოცნება აკეთებს (Parliament of Georgia 2022a). „განდგომილი დეპუტატების“ მიერ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე 20-მდე გავრცელებული ვრცელი წერილიდან გამოიკვეთა ახალი ერთობის ანტიდასავლური, ანტილიბერალური და პოპულისტური რიტორიკა. „ხალხის ძალის“ საპარლამენტო წევრები, ასევე, ცდილობენ მოახდინონ ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორების მოსაზრებების დელეგატიმაცია, როგორცაა აშშ და ევროკავშირი.

„ხალხის ძალის“ პოტენციურ სატელიტობაზე საუბარი შეიძლება ამ მოძრაობის არაერთი თავისებურებიდან გამომდინარე. მართალია, ფორმალურად დეპუტატთა აღნიშნული ნაწილი საპარლამენტო უმრავლესობას გამოეყო, მაგრამ ახლო კავშირები ქართულ ოცნებასთან კვლავ ნარჩუნდება, რაც დამკვირვებლებს აფიქრებინებს, რომ „ხალხის ძალა“, სინამდვილეში, მმართველი პარტიის ფაქტობრივი ქვე-დანაყოფია, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, პარტიის ინტერესებისთვის იმოქმედებს (კაჭკაჭიშვილი 2022). საყურადღებოა, ისიც რომ მმართველი პარტიისთვის ახალი მოძრაობის რიტორიკა ცალსახად მიუღებელი არ არის. ოცნების თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამას „ტაქტიკურ უთანხმოებას“ უწოდებს (კობახიძე 2022). მეტიც, „ღირსეულ“ კოლეგებად მოიხსენიებს პოლიტიკოსებს, რომლებსაც საქართველოს უმთავრეს სტრატეგიული პარტნიორების მიმართ კომუნიკაციისას კონსპირაციული და რადიკალური ტონი აქვთ არჩეული, ხოლო კანდიდატის სტატუსს „არაფრისმომცემს“ უწოდებენ (სუბარი 2022a). გარდა ამისა, ე.წ. „განდგომილი დეპუტატები“ ქართული ოცნების პარტიულ შეკრებაზეც დააფიქსირეს, რაც ოცნებამ იმით ახსნა, რომ პარლამენტში უმრავლესობის შენარჩუნების პროცესში თანამშრომლობას სწორედ მათთან აპირებენ.

საკმაოდ პარადოქსულია ისიც, რომ თავდაპირველი „განდგომილი ოთხეულის“ წარმომადგენლებიდან ზოგიერთი დეპუტატის ბიოგრაფია წარსულში მჭიდროდაა დაკავშირებული არასამთავრობო სექტორში ქვეყნის პროდასავლური კურსის მხარდამჭერ საქმიანობასთან (Interpressnews 2016). ამასთან, მოძრაობაში მყოფი დეპუტატების ნაწილი იმ ე.წ. „მეამბოხეთა“ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც 2019 წელს ქართული ოცნების მიერ საზოგადოებისთვის შეპირებული საარჩევნო ინიციატივა ჩააგდეს. ისინი ჯერ კიდევ მაშინ იქნენ შემჩნეული და მიჩნეული მმართველი პარტიისა და მისი დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილისთვის სასურველი იმ სცენარების შემქმნელებად, რომლებიც საზოგადოების თვალში, შესაძლოა, არაპოპულარული იყოს და, ამ მხრივ, სარისკო ქართული ოცნებისთვის (Civil.ge 2019; Publika 2019; GPB 2019).

შესაბამისად, ახალი ანტიდასავლური პოლიტიკური მოთამაშის ამგვარი დეპუტატებით დაკომპლექტება საზოგადოებაში არაერთ ეჭვს ბადებს მათი მჭიდრო აფილირების შესახებ ქართულ ოცნებასთან, რომელმაც გამოყოფათა ამ ტალღების შედეგად ფორმალურად საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგა, თუმცა ამ ფაქტს პარტიაში შესამჩნევი სიმშვიდით შეხვდნენ. ამასთან, მოძრაობის ბოლო ტალღის გაფართოების შედეგად ერთობის არადეპუტატ წევრებს შორის არიან მთავრობისადმი ცალსახად კეთილგანწყობილი მედიასაშუალებების, POS-TV-ის ჟურნალისტები და მიმომხილველები, ასევე, ყოფილი საჯარო

მოსამსახურეები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოსაზრებებს, რომ „ხალხის ძალა“ ცდილობს, "ოცნებისთვის" ტაქტიკური სივრცის შემზადებას ქვეყნის შიგნით რომ ერთგულად მოემსახუროს მის ინტერესებს იქ, სადაც საჭირო იქნება და ამავდროულად ქვეყნის გარეთ ხელს უწყობს „ოცნების“ შედარებით უფრო ზომიერ პარტიად წარმოჩინებას (დევდარიანი 2022).

საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონტურები „ხალხის ძალის“ მიხედვით

„ხალხის ძალის“ საგარეოპოლიტიკური ვექტორი ფორმალურად პროდასავლურია, თუმცა რეალურად დასავლური მემარჯვენე რადიკალიზმის და ატლანტიკური სკეპტიციზმის ნაზავია. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის მიხედვით მათი შეხედულება საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესახებ განსხვავდება „ქართული ოცნების“ ხედვისგან, მმართველი პარტია იმდენად მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს ყოფილი დეპუტატების ერთობასთან, რომ, ძალაუნებურად, მნიშვნელოვანი ხდება ამ მოძრაობის ხედვის გაანალიზება საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. პირველი გამოყოფის დღიდან დღემდე პარლამენტის ოფიციალურ პლატფორმაზე დეპუტატთა ამ ჯგუფს 15-ზე მეტი ვრცელი წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომელთა შინაარსი გვადლევს საშუალებას, გარკვეულწილად, შევაჯამოთ მოძრაობის ხედვები ძირითადი საგარეოპოლიტიკური საკითხების შესახებ.

(1) მითი ევროკავშირის, სუვერენიტეტის დაკარგვისა და „ომში ჩათრევის“ შესახებ

მოძრაობის პირველი წევრები ქართულ ოცნებას ივნისის ბოლოს გამოეყენენ. მალევე მას შემდეგ, რაც ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა იმის თაობაზე, რომ საქართველოს არ მიენიჭა კანდიდატის სტატუსი. თუმცა, თავდაპირველი ე.წ. „განდგომილი ოთხეულის“ აქტიური წევრი, დიმიტრი ხუნდაძეც გამოირჩეოდა ჯერ კიდევ კანდიდატის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ანტი-ევროპული კონსპირაციული განცხადებებით, სადაც ის აღნიშნავდა, რომ თითქოს არსებობს „განცდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგა“ (ხუნდაძე 2022). მოგვიანებით მსგავსი რამ გაიმეორა უკვე „ხალხის ძალის“ ერთერთმა დამფუძნებელმა და ქართული ოცნების გავლენიანმა ყოფილმა ჩინოვნიკმა სოზარ სუბარმა, რომლის თქმით, „[საქართველოსთვის]

ევროკავშირის წევრობა სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დათმობას გულისხმობს“ (სუბარი 2022b).

საინტერესოა, რომ სამკაცრიანი მოძრაობის ძირითადი რიტორიკა პირველ ეტაპზე კანდიდატის სტატუსის საკითხს ეხებოდა და მოიცავდა ამ სტატუსის მნიშვნელობის დაკნინების მცდელობას, ხანდახან ანტისახელმწიფოებრივი და კონსპირაციაზე დაფუძნებული განცხადებების საფუძველზე. ჯგუფი აცხადებს, რომ „კანდიდატის სტატუსი არაფრისმომცემია“ და ამისთვის ისეთი ქვეყანა, როგორცაა მოლდოვა, ევროპამ „სულ მცირე, უმძიმესი ეკონომიკური პრობლემებისთვის გაწირა“ (სუბარი 2022a). ისინი, ასევე, აღნიშნავენ, რომ “ვერავინ ახსნის, პრაქტიკული თვალსაზრისით, რას აძლევს საქართველოს კანდიდატის სტატუსის დაჩქარებული წესით მიღება. შესაბამისად, ამ საკითხის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი, აშკარად, სრულიად ხელოვნურია” (Parliament of Georgia 2022b).

მაშინ, როდესაც კანდიდატის სტატუსის ვერმიღების შემდეგ ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება თვალშისაცემად გაიზარდა (RFE/RL 2022), რასაც რამდენიმე დღიანი მასობრივი დემონსტრაციებიც მოჰყვა, „ხალხის ძალის“ ეს რიტორიკა იყო მცდელობა, წარმოეჩინა ეს მარცხი ისე, თითქოს „არაფერი მნიშვნელოვანი ქვეყანას არ დაუკარგავს“, პირიქით, ამით საქართველო დაღუპვის საფრთხეებსაც კი გადარჩა, რაც, გარკვეულწილად, ქართული ოცნების ნარატივიცაა (ღარიბაშვილი 2022). საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის ყურადღების მიღმა დარჩა ევროკავშირის მასტაბილიზირებელი ფუნქცია, რომელსაც ბრიუსელი საქართველოში თამაშობს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მეშვეობით, რომელიც რუსეთის მიერ ეუთოსა და გაეროს გაძევების შემდგომ ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობაა საქართველოსა და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სიტუაციაზე დასაკვირვებლად.³

(2) ნარატივი აშშ-ისა და „ომში ჩათრევის“ შესახებ

ევროკავშირის შემდეგ, დროთა განმავლობაში, განსაკუთრებული აგრესია ოცნების განდგომილი დეპუტატების მხრიდან თავს აშშ-ის საელჩოსაც დაატყდა. „ხალხის ძალის“

³ ამ მისიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის ევროკავშირის 25 ქვეყნის მიერ გაღებული კონტრიბუცია ზრდადია: თუ მისიის პირველ ეტაპზე ეს 31 მლნ. დოლარი იყო, მისიის მიმდინარე ეტაპზე უკვე თითქმის 45 მლნ. დოლარს აღწევს (EUMM 2022; The Council of the EU 2008).

მიხედვით, „მკაფიოდ იკვეთება, რომ საელჩოს განსაკუთრებული ძალისხმევა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ არის მიმართული“ (Parliament of Georgia 2022d); ისინი ასევე მითითებენ, რომ ადგილი აქვს, „[საელჩოს მხრიდან] სრულიად უპატივცემულო და უხეშ დამოკიდებულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ“ (Parliament of Georgia 2022c). ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის დამაზიანებელი ასეთი უპრეცედენტო ბრალდება, რომელსაც „ხალხის ძალა“ უნისონში ავითარებს კრემლის ცნობილ პროპაგანდისტულ ნარატივებთან ერთად ჩრდილს აყენებს ორი ქვეყნის პარტნიორულ ურთიერთობებს.

საინტერესოა ის, რომ ომში ჩათრევის და მეორე ფრონტის შესახებ კონსპირაციები ანტიამერიკულ ნარატივშიც სჭარბობს: „დასკვნები ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს - ან უნდა დაჰყვეს საელჩოს სურვილს და საქართველო მეორე ფრონტად აქციოს ან უნდა შეაფასოს, რამდენად ლეგიტიმური და მისაღებია მისი განზრახვა, საქართველო ყოველგვარი გარანტიების გარეშე ჩართოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში, რაც საქართველოს გამანადგურებელ შედეგებს უქადის“ (Parliament of Georgia 2022e). ეს მაშინ, როცა მათივე თქმით, საქართველოსთვის განკუთვნილი ამერიკული ფინანსური დახმარება, რომლითაც ქვეყანა 30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს, საქართველოში სრულად არც კი ირიცხება (Parliament of Georgia 2022f).

„ხალხის ძალის“ კონსპირაციული ნარატივის სამიზნედ იქცა აშშ-ს ელჩი კელი დეგნანიც. ის ამ ნარატივში წარმოდგენილია, როგორც იმ „რადიკალურ ჯგუფებთან“ - ოპოზიციასთან და არასამთავრობო სექტორთან - ერთად მოქმედი პერსონა, რომელთა მიზანია ქვეყნის არეულობა და მდგრადი განვითარებისთვის ხელის შეშლა, მაგალითისთვის, მოძრაობის ერთ-ერთი ოფიციალური განცხადებით, „ისფედის“ გამოქომაგებით, საელჩო „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ ეუბნება, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ფრონტის გასახსნელად ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდეს“ (ImediTV 2022). მსგავსი პროპანდისტული საჯარო გზავნილებით „განდგომილები“ ცდილობენ, არა მხოლოდ გადააფასონ საქართველო-აშშ-ს ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტრატეგიული ურთიერთობები, არამედ აქტიურად მუშაობენ ამ ურთიერთობებში ბზარის გაჩენისთვის. თუმცა ამ ჯგუფის არჩეული ეს სტრატეგია სულაც არაა გასაკვირი იმ ფონზე, როდესაც როგორც ევროკავშირის, ნატოს სტრუქტურების, ასევე აშშ-ის საელჩოს მხრიდან ბოლო პერიოდში ხელისუფლება საკმაოდ ხშირად იმსახურებს კრიტიკას დემოკრატიული უკუსვლისა და განუხორციელებელი რეფორმების გამო (Department of State 2022).

(3) შვეიცარიისა და დემოკრატიის შესახებ

მოძრაობა „ხალხის ძალის“ რიტორიკაში შვეიცარია მაშინ გამოჩნდა, როდესაც შვეიცარიულ ბანკსა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს შორის უთანხმოების შესახებ გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის. მოძრაობის ოფიციალური განცხადებების მთავარი ობიექტი ამჯერად თანამედროვე შვეიცარიული დემოკრატია გახდა. „განდგომილთა“ მიხედვით, „შვეიცარია ისტორიულად ევროპაშიც კი მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნად ითვლებოდა. თუმცა, რეკეტი, არასამართლიანი სასამართლო და არათავისუფალი მედია [...] - მართვის ეს მოდელი დღეს შვეიცარიაშიც აქტიურად დაუმკვიდრებიათ“ (GPB 2022).

აქედან კი მოძრაობა აკეთებს დასკვნას, რომ „ისეთი ევროპა კი, სადაც ბანკი, სასამართლო და მედია სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ საერთო ტოტალური კოორდინაციის ქვეშ მოქმედებენ, ჩვენ ნამდვილად არ გვინდა“ (GPB 2022), რაც ძალიან წააგავს საზოგადოების თვალში ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის საწინააღმდეგოდ მიმართულ დელეგიტიმაციის ხრიკს. ამ შემთხვევაში, განსხვავება ის არის, რომ თუკი თავდაპირველად „ხალხის ძალა“ ცდილობდა „ქართული ოცნების“ მარცხის გადაფარვას ევროინტეგრაციის გზაზე, ამჯერად ეს დაპირისპირება და მმართველობის შვეიცარიული მოდელის კრიტიკა ერთი ადამიანის - ბიძინა ივანიშვილის იმიჯის დასაცავად იყო მიმართული. ჯგუფის ეს ანტიევროპული განცხადებები პირადაპირ ეხმიანება მმართველი პარტიის რიტორიკას ივანიშვილის შესახებ, რისი ნათელი მაგალითიცაა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის მიერ ურსულა ფონ დერ ლაიენისადმი საქართველოს მთავრობის სახელით გაგზავნილი წერილი, სადაც ევროკომისიის პრეზიდენტისადმი გაუდერებულია თხოვნა, ევროკომისიამ დეოლიგარქიზაციის კონტექსტში არ მოაქციოს ბიძინა ივანიშვილი (საქართველოს მთავრობა 2022). აღსანიშნავია ისიც რომ, ხელისუფლება ზემოთაღნიშნული ქმედებით ფაქტიურად ეჭვქვეშ აყენებს მთავრობის ნარატივს იმის შესახებ რომ ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ კერძო პირია, არ ერევა საჯარო პოლიტიკაში და არავითარი გავლენები არ გააჩნია საქართველოს ხელისუფლებაზე. ამ მოვლენათა ერთობლიობა აძლიერებს ეჭვებს, რომ „ხალხის ძალის“ მიერ შვეიცარიის კრიტიკა მმართველი პარტიის არაფორმალური ლიდერის ინტერესების ლობირებას ემსახურებოდა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ხალხის ძალის“ ამგვარი საგარეოპოლიტიკური ხედვა და მისი გავრცელება საზოგადოებაში, შესაძლოა, ემსახურებოდეს წარუმატებელი დასავლური ინტეგრაციით და დასავლეთიდან მომდინარე კრიტიკით იმედგაცრუებულ


ამომრჩეველში იმ იდეების გავრცელებას, რომ საქართველოს დემოკრატიულ და ევროინტეგრაციულ წარუმატებლობაში დამნაშავეა ყველა გარდა ხელისუფლებისა.

„ხალხის ძალა“ - მოძრაობის რესურსები და რეალური ამოცანები

განხილული ნარატივები, რომელთა საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებაზე „ხალხის ძალამ“ აიღო პასუხისმგებლობა, გამოკვეთილად ანტიდასავლურ პათოსს ატარებს და მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის მომავალ განვითარებაზე. შესაბამისად, არ შეიძლება, ყურადღების მიღმა დარჩეს როგორც ამ ჯგუფის ხელში თავმოყრილი რესურსები, ასევე ის რეალური მიზნები, რომლებიც გამოკვეთილად ქართული ოცნების ინტერესებს უკავშირდება.


ქართულ ოცნებას ასეთი მოთამაშის შექმნა და მხარდაჭერა რამდენიმე მიზნით შეიძლება სჭირდებოდეს. IRI-ის ბოლოდროინდელი გამოკითხვებით ცხადი ხდება, რომ მმართველი პარტია, ბოლო თვეების განმავლობაში, ამომრჩევლის მხარდაჭერას კარგავს. გამოკითხვების მიხედვით, უკანასკნელ ექვს თვეში პარტიის მხარდაჭერა 6%-ით არის შემცირებული (დიაგრამა 1,2), რის გამოსწორებასაც სახელისუფლებო პარტია სხვადასხვა ხერხებით ცდილობს, მათ შორის, ზემოთ აღწერილი მექანიზმების გამოყენებით.

დიაგრამა 1: საპარლამენტო არჩევნები მომდევნო კვირას რომ ტარდებოდა, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? (პირველი არჩევანი). მარტი, 2022



წყარო: <https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia-september-2022/>

დიაგრამა 2: საპარლამენტო არჩევნები მომდევნო კვირას რომ ტარდებოდა, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? (პირველი არჩევანი). სექტემბერი, 2022



წყარო: <https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia/>

შესაბამისად, ქართულ ოცნებას სჭირდება, რომ დაკარგულ მხარდამჭერთა ნაწილი მაინც მიიმხროს ისეთმა პარტიამ, რომელიც მას თავის კონტროლის ქვეშ ეყოლება. თუმცა, იმ ფონზე, რომ მმართველი პარტია იძულებულია პროდასავლური კურსის მიმართ ფორმალური ერთგულება შეინარჩუნოს, „ხალხის ძალის“ მსგავსი მოთამაშე მას ერთგვარი შიდა მოხმარებისთვის სჭირდება.

მნიშვნელოვანია, რომ „განდგომილთა“ ჯგუფმა დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში სრულიად უწყინრად მოახერხა ის, რომ ფორმალურად ქართულ ოცნებას საპარლამენტო უმრავლესობა დაეკარგა. შედეგად, შექმნა ილუზია, რომ მმართველი პარტია სამომავლო საპარლამენტო გადაწყვეტილებებზე ნაკლებადაა პასუხისმგებელი, და შესაძლოა, უახლოესი საკონსტიტუციო განხილვების, სახალხო დამცველის არჩევის და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების ფონზე „პროპორციული არჩევნების“ სცენარის გათამაშება კიდევ ერთხელ მოხდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ხალხის ძალის“ საპარლამენტო ნაწილს შეუძლია, ქართული ოცნებისთვის თავისებური მეხამრიდის როლი შესრულოს და ისე შეაფერხოს ან ნეგატიური გავლენა მოახდინოს მნიშვნელოვანი რეფორმების წარმართვაზე, რომ მმართველ პარტიას ნაკლები პასუხისმგებლობა დაეკისროს.

„ხალხის ძალის“ კიდევ ერთი სამომავლო ფუნქცია შეიძლება იყოს ის, რომ მმართველ პარტიას მისი გამოყენებით - მასთან კოალიციის ან რაიმე ფორმის ალიანსის შექმნით - შესაძლებლობა ექნება ფორმალურად დააკმაყოფილოს ქართველი ამომრჩევლის დაკვეთა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება კოალიციურ მმართველობას და პარტიათაშორის თანამშრომლობას ემხრობა (Edison Research 2020; CRRC 2021). შედეგად, ქვეყანაში შესაძლოა მივიღოთ ერთგვარი კვაზი-კოალიცია ისე, რომ ქართულმა ოცნებამ თავი დააღწიოს სხვა ოპოზიციურ აქტორებთან თანამშრომლობის აუცილებლობას. შედეგად, ის ერთდროულად ორ მიზანს მიაღწევს: ფორმალურად დააკმაყოფილებს დემოკრატიის მნიშვნელოვან კრიტერიუმს იმ პარტიებთან ურთიერთობის გარეშე, რომლებსაც ის „რადიკალურ ოპოზიციად“ ნათლავს და რომლებთანაც ტრადიციულად ტოქსიკური ურთიერთობა აქვს.

უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში კი „ხალხის ძალას“ ორი მმართველობით შეუძლია გავლენის მოხდენა: პირველ რიგში, ცხადია, რომ მოძრაობა სახელმწიფოს დამაზიანებელი და მმართველი პარტიისთვის სასურველი პროპაგანდისტული ნარატივების კიდევ უფრო ფართო საზოგადოებაში გავრცელებას ისახავს მიზნად. მას ამისთვის მნიშვნელოვანი რესურსიც გაუჩნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოძრაობის ერთ-ერთი წევრი პრო-

სამთავრობო ტელევიზიის მფლობელი გახდა. შესაბამისად, მართალია, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად მიიღებს ამ ახალ ნარატივებს ამომრჩეველი, მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ ქართულ ოცნებას შეუძლია აღნიშნული მოძრაობის საქმიანობა საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციის მიზნით გამოიყენოს, რითაც შეეცდება, დააბალანსოს საკუთარი წარუმატებლობა დასავლური ინტეგრაციის მიმართულებით და შეინარჩუნოს ამომრჩეველების ის მხარდაჭერა, რომელიც, სავარაუდოდ, ამ მიმართულებით მარცხის გამო დაკარგა.

მოძრაობა ასევე ფლობს იმის რესურსსაც, რომ 2024 წლისთვის მობილიზაცია გაუკეთოს გადაუწყვეტელი ამომრჩეველის კონსერვატიულად განწყობილ ნაწილს და ქართულ ოცნებასთან საარჩევნო თანამშრომლობის შედეგად „ოცნებას“ საარჩევნო მაჩვენებლები გაუზარდოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის უკრაინაში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ საქართველოში ღიად პრორუსული კონსერვატიული პარტიები კარგავენ პოპულარობას, ქართულ ოცნებას კარგი შანსი აქვს, რომ ანტიდასავლური პოპულისტური პარტიის ხელით მინიმუმ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ორმაგი თამაში ითამაშოს: შეინარჩუნოს პროდასავლური ამომრჩეველის ნაწილი და, ამავდროულად, უზრუნველყოს ანტილიბერალურად განწყობილი საზოგადოების მხარდაჭერა.

აღწერილი რეალობა ახალ გამოწვევებს ქმნის მრავალპარტიული და ფუნქციური ქართული დემოკრატიის მშენებლობის გზაზე, რადგან „მართული“ დემოკრატია, ან ხელოვნურად „დადგმული“ პოლიტიკური პროცესები ხელს უშლის ქვეყნის შემდგომ დემოკრატიზაციას და მდგრადი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

ახალი რისკები მრავალპარტიული დემოკრატიისთვის საქართველოში

„ხალხის ძალად“ წოდებული ახალი მოძრაობა პოლიტიკურ ველზე მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა. თუმცა, მის ხელში არსებული პოლიტიკური, ადამიანური თუ ფინანსური რესურსების ერთობლიობა, ასევე, მმართველ ძალასთან მჭიდრო კავშირები იძლევა, საშუალებას რომ, მათ, მოკლევადიან პერსპექტივაში, გარკვეული გავლენა მოახდინონ ქვეყნის შიდა და საგარეოპოლიტიკურ ტრაექტორიაზე. ამ ჯგუფს შეუძლია, ხელი შეუშალოს დემოკრატიული პროცესების წარმართვას საკანონმდებლო ორგანოში ისე, რომ მმართველ პარტიას ნაკლები პასუხისმგებლობა დაეკისროს. ამის პარალელურად კი, საზოგადოებაში ისეთი ნარატივების გავრცელების საშუალება იქმნება, რომელთა

ოფიციალურად გაჟღერება ქართულ ოცნებას გარკვეულ უხერხულობას უქმნის (მაგალითად, დასავლელი აქტორების პირდაპირი კრიტიკა და მათთან ღია კონფრონტაციაში შესვლა).

იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ მარცხი განიცადა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებაში და ამით საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, ქართული ოცნების სახელისუფლებო ვერტიკალისთვის აუცილებელი გახდა ისეთი სატელიტური მოთამაშის შექმნა, რომელსაც შეუძლია, მას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ძალაუფლების კიდევ უფრო დიდხანს შენარჩუნებაში. როგორც ჩანს, გრძელვადიან პერსპექტივაში, სახელისუფლებო გუნდის ამ სტრატეგიის მიზანია, ახალმა სატელიტურმა მოძრაობამ ერთგვარი მეხამრიდის როლი ითამაშოს მომავალ პოლიტიკურ პროცესებში და საკუთარი პოპულისტური დემაგოგიით გარკვეული კომფორტი შეუქმნას მმართველ პარტიას მრავალპარტიული, პლურალისტური დემოკრატიის „დაგეგმვის“ პროცესში. საბოლოო ჯამში, ამ რიტორიკის შემდგომი წახალისების შემთხვევაში, ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ მომავალს, არამედ ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის ხელისუფლების ევროატლანტიკურ ამბიციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

დევიდარიანი, ჯაბა. 2022. პირადი ინტერვიუ;

ზურაბიშვილი, დავით. 2022. პირადი ინტერვიუ;

კაჭკაჭიშვილი, იაგო. 2022. “ერთი სხეულის ორი ხელი” – რა გეგმების აქვს „ხალხის ძალას“. ხელმისაწვდომია:

<https://netgazeti.ge/life/633725/> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

კობახიძე, ირაკლი. 2022. ხალხის ძალა გაფართოვდა - პრემიერის კომენტარი. ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=ZKK83otQMUI> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

საქართველოს მთავრობა. 2022. ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid02mstrhgTrCERHDvgQFkJe8HYjiGe5c1MBg52wBgukUsSsygtBa2sib8uxHd3Dcq2Hl> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

სუბარი, სოზარ. 2022a. „კანდიდატის არაფრისმომცემი სტატუსი“ - რის სათქმელად გამოეყო „ოცნებას“ სამი

დეპუტატი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31921840.html> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

სუბარი, სოზარ. 2022b. სუბარი: ევროკავშირში გაწევრიანება გულისხმობს სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის

დათმობას. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32066291.html> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

ღარიბაშვილი, ირაკლი. 2022. „არაფერი ისეთი არ მომხდარა“. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/641849/>

ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

ხუნდაძე, დიმიტრი. 2022. ქართულ ოცნებას სამი დეპუტატი ტოვებს. ხელმისაწვდომია:

<https://civil.ge/ka/archives/498580> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

Bader, Max. 2011. Hegemonic political parties in post-Soviet Eurasia. Communist and Post-Communist Studies. pp. 189-197;

Civil.ge. 2019. პარლამენტმა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტი ჩააგდო.

ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/326293> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

EUMM. 2022. მონაცემები და ფაქტები. ხელმისაწვდომია: https://www.eumm.eu/ge/about_eumm/facts_and_figures

ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

Gel'Man, Vladimir. 2008. Party Politics in Russia: From Competition to Hierarchy. Europe-Asia Studies. pp. 913-930;

GPB 2019. მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=TIXVhMcbxHE> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

GPB. 2022. მოძრაობა „ხალხის ძალა“ - „ისფედის“ გამოქომაგებით, აშშ-ის საელჩო „ქართულ ოცნებას“ ეუბნება,

რომ რევოლუცია უნდა მოხდეს. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/modzraoba-khalkhis-dzala-isfedis-gamoqomagebit-ashsh-is-saelcho-qartul-ocnebas-eubneba-rom-revolucia-unda-mokhdes-nacionaluri-modzra/>

ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

- ImediTV. 2022. „ხალხის ძალა“: „ისფედის“ გამოქომაგებით, საელჩო „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ ეუბნება, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს. ხელმისაწვდომია: <https://imedinews.ge/ge/politika/260986/khalkhis-dzala-ispedis-gamoqomagebit-saelcho-qartul-otsnebas-pirdapir-eubneba-rom-revolutsia-unda-mokhdes-natsionaluri-modzraoba-meore-prontis-gasakhsnelad-khelisuplebashi-unda-dabrundes> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Interpressnews.ge 2016. სოზარ სუბარი - ევროკომისიის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/370004-sozar-subari-evrokomisiis-mxridan-zalian-mnishvnelovani-nabiji-gadaidga> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Oversloot, Hans, Verheul, Ruben. 2006. Managing democracy: Political parties and the state in Russia. Journal of Communist Studies and Transition Politics. pp. 383-405;
- Parliament of Georgia. 2022a. საქართველოს პარლამენტის წევრების, სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-da-mikheil-qavelashvilis-gantskhadeba?fbclid=IwAR2p7uosCfjIRFzw6fb1_iNEeYO9e3i5HC_iHk6Zs-197jPI_LxunUhgN7U ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Parliament of Georgia. 2022b. საქართველოს პარლამენტის წევრების, სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-da-mikheil-qavelashvilis-gantskhadeba-1> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Parliament of Georgia. 2022c. საქართველოს პარლამენტის წევრების, სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/print/news/parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-mikheil-qavelashvilis-da-guram-macharashvilis-gantskhadeba-1> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Parliament of Georgia. 2022d. საქართველოს პარლამენტის წევრების, სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-guram-macharashvilisa-da-mikheil-qavelashvilis-gantskhadeba-2> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Parliament of Georgia. 2022e. საქართველოს პარლამენტის წევრების, სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-guram-macharashvilisa-da-mikheil-qavelashvilis-gantskhadeba-3> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Parliament of Georgia. 2022f. საქართველოს პარლამენტის წევრების, სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-guram-macharashvilisa-da-mikheil-qavelashvilis-gantskhadeba-4> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;
- Publika. 2019. ვინ არ დაუჭირა მხარი პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/vin-ar-dauchira-mkhari-proporciul-sistemaze-gadasvlas/> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

RFE/RL. 2022. Tens Of Thousands Rally In Tbilisi To Show Georgia's Commitment To EU Membership.

ხელმისაწვდომია: <https://www.rferl.org/a/georgia-demonstration-eu-membership-georgian-dream-russia/31907025.html> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022;

Stykow, Petra. 2016. Eurasian Multipartism: Variations on a Theme. Armenian Journal of Political Science 2(5), pp. 5-38;

The Council of the EU 2008. COUNCIL JOINT ACTION 2008/736/CFSP. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:248:0026:0031:EN:PDF> ბოლოჯერ ნანახია: 21.11.2022.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

კორნელი კაკაჩია, ნინო სამხარაძე, „როქი მარჯვენა: "ხალხის ძალა", როგორც ქართული პოლიტიკის ახალი ანტიდასავლური საყრდენი,“ პოლიტიკის მემორანდუმი #63, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge